საექსპერტო დასკვნა

ანგარიშზე „ქ. თბილისში, დასახლება ვაშლიჯვარი, ზონა II ნაკვეთი 01.10.18.006.072-ში მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის პროექტი. საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის ტექნიკური ანგარიში“

ჩვენს მიერ 2015 წ. აგვისტოში შემოწმებული იქნა ქ. თბილისში, ვაშლიჯვრის დასახლებაში, ზონა II, ნაკვეთი № 01.10.18.006.072-ში მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობასთან დაკავშირებით ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური სამუშაოების ტექნიკური დოკუმენტაცია.

შემოწმების მიზანი: დადგინდეს ქ. თბილისში, ვაშლიჯვრის დასახლებაში, ზონა II-ში საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის გამოყოფილ მოედანზე ჩატარებული საინჟინრო გეოლოგიური სამუშაოების და მის საფუძველზე შედგენილი ტექნიკური დოკუმენტაციის შესაბამისობა საქართველოში მოქმედ სამშენებლო ნორმებთან, წესებთან და სახელმწიფო სტანდარტებთან.

საინჟინრო გეოლოგიური სამუშაოები შესრულებულია შ.პ.ს. „თბილინვესტპროექტი“-ს გეოლოგიური ჯგუფის მიერ 2015 წლის მაისში სამუშაოების უშუალო ხელმძღვანელი ინჟინერ-გეოლოგი ი. ცხომელიძე. კლდოვანი ქანების ლაბორატორიული კვლევები შესრულებულია გ. წულუკიძის სახელობის სამთო საქმის ინსტიტუტში.

საექსპერტოდ გადმოცემულია:

1. ანგარიშის ტექსტური ნაწილი, აკრეფილი კომპიუტერზე ..... 6 გვ.
2. ტექნიკური დავალება ..... 1 გვ.
3. ცხრილი გრუნტების თვისებებზე ..... 5 გვ.
4. ჭრის გრაფიკები ..... 6 გვ.
5. მოედნის ტოპოგეგმა ..... 1 ფურც
6. შურფების ლითოლოგიური სვეტები ..... 7 ფურც.
7. მოედნის გეოლოგიური ჭრილები ..... 2 ფურც.

პროექტით საკვლევ მოედანზე უნდა აშენდეს 8-სართულიანი საცხოვრებელი სახლი, სარდაფით.

კონსტრუქციულად შენობა გადაწყვეტილია რკინაბეტონის კარკასით, შევსება იქნება აგურით ან ბეტონის წვრილი ბლოკებით. რაც შეეხება საძირკვლის კონსტრუქციასა და ჩაღრმავებას იგი გადაწყდება მოედნის საინჟინრო-გეოლოგიური პირობების გამოკვლევის შემდეგ. შენობის ზომებია გეგმაში 12X31 მ.

მოედნის საინჟინრო-გეოლოგიური პირობების დასადგენად გაყვანილი იქნა 7 შურფი. მათი საერთო სიგრძე შეადგენს 16 მეტრს.

შურფებიდან აღებული იქნა გრუნტის ნიმუშები მათი თვისებების გამოსაკვლევად. როგორც აღვნიშნეთ კლდოვანი ქანების თვისებები გამოკვლეული იქნა სამთო საქმის ლაბორატორიაში.

ჩატარებული საველე და ლაბორატორიული სამუშაოების საფუძველზე საკვლევ მოედანზე გამოყოფილი იქნა გრუნტის მხოლოდ ერთი ფენა. ზედა ეოცენის არგილითებისა და ქვიშაქვების მორიგეობა. დადგენილია მათი სიმტკიცის მაჩვენებლებით. განსაკუთრებით შესწავლილია მათი ნაპრალიანობა. ფენაში გამოყოფილია ძლიერ გამოფიტული და სუსტად გამოფიტული არგილითებისა და ქვიშაქვების მორიგეობა. მოცემულია მათი დახასიათება. რაც შეეხება ნაყარ გრუნტს იგი მშენებლების მიერ აღებული იქნება და ამიტომ მათი თვისებები არ გამოკვლეულა.

დასკვნა

ჩატარებული საინჟინრო გეოლოგიური სამუშაოები ქ. თბილისში, ვაშლიჯვრის დასახლებაში, ზონა II-ში, ნაკვეთი № 01.10.18.006.073-ში მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის გამოყოფილ მოედანზე, აკმაყოფილებს საქართველოში მოქმედ სამშენებლო ნორმებისა და სახელმწიფო სტანდარტის მოთხოვნებს. ცალკეული შენიშვნები ჩვენს მიერ გამოთქმული სამუშაოების მიმართ ავტორის მიერ მიღებული იქნა და ანგარიშში შეტანილია სათანადო კორექტირებით. ამრიგად წარმოდგენილი ანგარიში იმსახურებს დადებით შეფასებას და იგი შეიძლება დაედოს პროექტს საფუძვლად საინჟინრო-გეოლოგიურ ნაწილში.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
გრუნტების მექანიკისა და ფუძე საძირკვლების
მიმართულების ხელმძღვანელი, ტექნიკის
მეცნ. დოქტორი, პროფესორი გ. ჭოხონელიძე

ა(ა)იპ „ნიკორი“
დირექტორი
ვ. ქაჯაია

CV ჭოხონელიძე გუგა

გვარი, სახელი, მამის სახელი	ჭოხონელიძე გუგა ილიას ძე
მისამართი, ტელეფონის ნომერი, ფაქსი	ქ.თბილისი, კეკელიძის ქ. №10 ბინა 25, ტელ: 22 00 44
დაბადების თარიღი	1928 წლის 16 თებერვალი
განათლება	1950 წელს დავამთავრე საქ. პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტი, მშენებლ-ინჟინერი (დიპლომი) 1972 წელს დავამთავრე იგივე ინსტიტუტი, ინჟინერ-გეოლოგი (დიპლომი)
მინიჭებული კვალიფიკაცია	1974წ ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი (დიპლომი) 1975წ პროფესორი საინჟინრო გეოლოგიაში (დიპლომი)
საქმიანობა და სამუშაო გამოცდილება	1950-1958წწ ჰიდროგეოლოგიისა და მელიორაციის ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომელი; 1958-1938წწ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ჰიდროგეოლოგიისა და საინჟინრო გეოლოგიის ინსტ. დირექტორის მოადგილე სამეცნიერო ნაწილში, 1983 წლიდან დღემდე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ფუძე-საძირკვლების მიმართულების ხელმძღვანელი.
გამოქვეყნებული სამეცნიერი შრომები და პუბლიკაციები	გამოქვეყნებულია 98 სამეცნიერო შრომა, მათ შორის მონოგრაფიები: "საქართველოს ლიოსისებური გრუნტები" (1976წ) და "ამიერკავკასიის ლიოსისებური გრუნტები" (1988წ). შესწავლილი და ანგარიშები დაწერილი მაქვს ინგურის ჰიდროელექტროსადგურის, ქ.თბილისის, ქ. რუსთავის და ქ. ფოთის საინჟინრო -გეოლოგიურ პირობებზე. გაცემული მაქვს 100-ზე მეტი საექსპერტო დასკვნა მშენებლობასთან დაკავშირებული ობიექტების საინჟინრო-გეოლოგიურ პირობებზე. მაქვს გამოგონებები გრუნტების გამაგრებაზე. ვარ ავტორი სახელმძღვანელოებისა: "გრუნტების მექანიკა და ფუძე-საძირკვლები". ვარ ავტორი სამშენებლო ნორმების: 2.02.01-2003წ "შენობა-ნაგებობათა ფუძე-საძირკვლები".
უცხო ენების ცოდნა	ქართული - მშობლიური; რუსული - კარგად; ინგლისური - ლექსიკონის დახმარებით.

/ გ. ჭოხონელიძე /

საქართველოს საინჟინრო აკადემია

დიპლომი N250

ეძლევა ბატონ

გუგა ჭოხონელიძეს

მახსენებს, რომ 2000 წლის 18 თებერვალს იგი არჩეულ იქნა საქართველოს საინჟინრო აკადემიის ნამდვილ წევრად(აკადემიკოსად).

პრეზიდენტი ი. ფრანგიშვილი

აკადემიკოს-მდივანი ე. გორგიძე

თბილისი, 2000წ.

THE GEORGIAN ENGINEERING ACADEMY

DIPLOMA N250

Is given to Mr.

Guga Chokhonelidze

That in February, 18, 2000 he was elected as a full member(academician) of the Georgian Engineering Academy.

President I. Prangishvili

Academician-secretary E. Gorgidze

Tbilisi, 2000